



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „ლელო“ - თბ „ლოკომოტივი“		
გუნდი	თბ „ლოკომოტივი“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	03/12/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	კლუბის დირექტორი	დაზარალების თარიღი	
სახელი, გვარი	თემურ ბენდიაშვილი		
მომჩივანი	მატჩის კიდის მსაჯი - საბა მახარაძე	დარღვევა	✓ ადიარებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 5.12 არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან საფესტივალო ასაკის სადისციპლინო კომისიის და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;	წითელი ბარათი	✓ საითინგი სხვა
		თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	06/12/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები :	
		კი არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის კიდის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი		



დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის კიდის მსაჯის, საბა მახარაძის, საითინგი;
2. მატჩის კიდის მსაჯის, საბა მახარაძის, სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

თბ „ლოკომოტივი“-ს დირექტორი, თემურ ბენდიაშვილი, დაეთანხმა მატჩის კიდის მსაჯის საითინგში დაფიქსირებულ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.12 პუნქტის დარღვევას (მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა) და განაცხადა, რომ თავი ვერ შეიკავა მისი თქმით მიკერძოებული და არაკომპეტენტური მსაჯობის გამო.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 03/12/2022 გაიმართა დიდი 10-ს X ტურის მატჩი თბ „ლელო“-სა და თბ „ლოკომოტივის“ შორის.
2. მატჩის კიდის მსაჯის, საბა მახარაძის, საითინგის მიხედვით (ციტირება)- **თამაშის მიმდინარეობის დროს „ლოკომოტივის“ წარმომადგენლებისგან დაიწყო უსაფუძვლო აპელირება ჩემი (გვერდითი მსაჯის) და მთავარი მსაჯის მიმართ. მათი აზრით, იყო წინ თამაში. გავაგრძელეთ თამაში და ჩემ ზურგს უკნიდან მესმის შეურაცხმყოფელი შეძახილები „ნაბიჭვარო ბავშვო გამოიხედე აქეთ“. თავიდან არ მიმიქცევია ყურადღება, რადგან თამაშზე ვიყავი კონცენტრირებული, მაგრამ უფრო მიახლოვდებოდა „ლოკომოტივის“ მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი, მოდიოდა სრული აგრესიით და შეძახილებით „შე ნაბიჭვარო თესლო ბიჭო“ მას გადაეფარნენ მეოთხე მსაჯი და თავისი გუნდის წარმომადგენლები. მე რაციის მეშვეობით გავაჩერებინე თამაში მთავარ მსაჯს, შემოვიწიე მოედანზე და ვეცადე ამერიდებინა თავი ამ პიროვნებისთვის. ეს სიტყვები გაიგონეს „ლოკომოტივის“ მოთამაშეებმა, თვითონ მოვიდნენ და ბოდიშს მიხდიდნენ მომხდარის გამო. მე მოვუწოდე მეოთხე მსაჯს და თამაშის დელეგატს, რომ თუ მოედანს არ დატოვებდა არ გავაგრძელებდით თამაშს. საბოლოოდ მოედანი დაატოვებინეს.**



სადისციპლინო კომისია ფაქტობრივი მოცემულობების და სადისციპლინო კომისიის სხდომაზე თბ „ლოკომოტივი“-ს დირექტორის, თემურ ბენდიაშვილის განცხადებების განხილვის შემდეგ მიიჩნევს რომ, თბ „ლოკომოტივი“-ს დირექტორის, თემურ ბენდიაშვილის, მხრიდან ადგილი ჰქონდა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.12 პუნქტის დარღვევას („ არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატრის ოფიციალურ პირებს და/ან საფესტივალო ასაკის სადისციპლინო კომისიის და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;“) და მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. თბ „ლოკომოტივი“-ს დირექტორს, თემურ ბენდიაშვილს, დიდი 10-ს 2022-2023 წლის სათამაშო სეზონი ბოლომდე, თბ „ლოკომოტივი“-ს თამაშებისას, აეკრძალოს სათამაშო არეალში ყოფნა , რაც გულისხმობს სათამაშო მოედნის მიმდებარე არეალში (სტადიონის ტრიბუნების გარდა) ყოფნას.
2. თბ „ლოკომოტივი“ დაჯარიმდეს 1000(ათასი) ლარით და ფულადი ჯარიმის გადახდის საბოლოო თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 6 იანვარი.
3. კლუბის მიერ საჯარიმო თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ლოკომოტივი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 14.4 (14.4 სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.) პუნქტი.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	06/12/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.